

УДК 316.46

ლიდერის მორალური არასრულფასოვნება როგორც დაკავებულ თანამდებობასთან მისი შეუთავსებლობის ინდიკატორი (განათლების სისტემაში)

გოროშიძე გიორგი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

საგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნქციონირების მაღალი ეფექტიანობის მისაღწევად საჭიროა დადგინდეს მისი მართვის ისეთი ფორმა, რომელიც შექმნიდა პოზიტიური ხელმძღვანელობის გარემოს და რომელშიც რეალიზებული იქნებოდა მოცემული სფეროსთვის ადეკვატური ადამიანური ფაქტორის მთელი პოტენციალი. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს ხელმძღვანელის მორალური თვისებების შესწავლა და კოლექტივში მათგან გამოწვეული შედეგების ანალიზი ეფექტიანობის მაჩვენებლებში. ამ მაჩვენებლების საფუძველზე შესაძლებელი ხდება ხელმძღვანელი პირის მმართველურ ქმედებათა სისწორის, მიზანშეწონილობისა და ადეკვატურობის დადგენა. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის მექანიზმში მორალური სახის ხარვეზების არსებობა თანამდებობასთან ხელმძღვანელის შეუთავსებლობაზე მიანიშნებენ, რაც სიტუაციის გაუმჯობესების მიზნით კოლექტივის მხრიდან შესაბამისი აქტივობის გაძლიერებას საჭიროებს ხელმძღვანელის გადაყენების ჩათვლით.

საკვანძო სიტყვები: მორალური არასრულფასოვნება, ხელმძღვანელობის ხარვეზები, თანამდებობასთან შეუთავსებლობა.

ფილოსოფოსების და მეცნიერების მტკიცებით, ადამიანის პიროვნულ სტრუქტურაში ყველაზე უფრო ამაღლებულ მოვლენას მისი მორალური მრწამსი და აქედან გამომდინარე აქტივობა წარმოადგენს. ამასთან ერთად, ადამიანებისთვის დამახასიათებელ საერთო თვისებად უნდა ჩაითვალოს კარგად ყოფნისა და ბედნიერებისკენ სწრაფვის ძლიერი სურვილი. ადამიანი ეძებს გზებს და საშუალებებს იმისთვის, რომ რაც შეიძლება სრულყოფილად მოახდინოს საკუთარი პოტენციალის რეალიზება. როგორც ცნობილია, ადამიანის სწრაფვა თვითრეალიზაციისკენ ძალიან კარგად აქვს აღწერილი ჰუმანისტური ფსიქოლოგიის გამოჩენილ წარმომადგენელს აბრაამ მასლოუს თავის მოძღვრებაში ადამიანის მოტივაციის შესახებ. როგორც მეცნიერები ამტკიცებენ, მხოლოდ პიროვნების სტრუქტურის უმაღლეს საფეხურზე შესაძლებელი მთლიანობის განცდის, სულიერი სიმშვიდის და კმაყოფილების მიღწევა. ამ საფეხურზე დომინირებს განცდების ჰარმონია, გაწონასწორებულობა და ურთიერთთემავსებულობა. ეს არის სულიერი მდგომარეობის „კომფორტის ზონა“, რომელიც შეიძლება მიღწეული იქნეს მხოლოდ ადამიანის მაღალი მორალური მრწამსის არსებობის შემთხვევაში, სადაც ყველაზე უფრო პრიორიტეტულად მიჩნეული კოგნიტური ინტელექტი მეორე რიგის მოვლენად გვევლინება. დღევანდელ ტექნოლოგიურ და დიგიტალიზებულ სამყაროში ადამიანის არსების გამომხატველ განსაზღვრებად სულ უფრო ადეკვატურად და მიზანშეწონილად მიიჩნევა „Homo

moralis“ ანუ ისეთი პიროვნული სტატუსი, რომელიც მორალური განვითარებულობის მაღლით უზრუნველყოფს ადამიანის ფსიქიკური რესურსების მაქსიმალური ეფექტიანობით გამოყენებას, სხვა ადამიანების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულებების შექმნას და შენარჩუნებას, რის შედეგადაც შესაძლებელი ხდება ადამიანის პოზიტიური სულიერი მდგომარეობის სტაბილიზება და ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუმჯობესება; ასევე სუბიექტური კეთილდღეობის (ბედნიერების) მიღწევის რეალური შესაძლებლობების გამოკვეთა.

ა. მასლოუს მიერ შემუშავებული ადამიანის მოტივაციის იერარქიული მოდელის ფუნდამენტურობიდან და უტყუარობიდან გამომდინარე აუცილებელი ხდება, რომ ფსიქიკის ორგანიზაციაც დაექვემდებაროს ასეთი იერარქიზაციის მოთხოვნებს, ვინაიდან ფსიქიკის ორგანიზაციის განხილვა მოტივაციის ორგანიზაციის თავისებურების გარეშე სრულიად დაუშვებელია. ამიტომ საუბარი ფსიქიკის იერარქიულ ორგანიზაციაზე ფრიად აქტუალურია და სავსებით გამართლებულია. ეს იერარქიზაცია ყველაზე უფრო წინგადადგმული ნაბიჯია ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში, რაც ყოველთვის უნდა იყოს გათვალისწინებული. ქართული ფსიქოლოგიური სკოლის გამოჩენილმა მეცნიერმა შოთა ნადირაშვილმა კომპეტენტური კვლევა-ძიების შედეგად შეიმუშავა ადამიანის ფსიქიკის იერარქიული ორგანიზაციის მოდელი, რომლის მიხედვითაც გამოყოფილია იერარქიის სამი დონე: **ინდივიდი - სუბიექტი - პიროვნება** [1]. ამ მოდელის იერარქიული ბუნების შესახებ არგუმენტირებული საუბრის ფართო შესაძლებლობას იძლევა ზემოხსენებული ა. მასლოუს მოტივთა იერარქიის მოდელი, რომლის გარეშეც შეუძლებელია ფსიქიკის სტრუქტურის ადეკვატური გაგება. ფსიქიკის ზემოხსენებული ტრიადული მოდელი უნდა დახასიათდეს შემდეგნაირად: „ინდივიდი“ არის ორგანიზმული და ინსტინქტური მოქმედებების განხორციელებელი; „სუბიექტი“ წარმოადგენს რეფლექსირების უნარის მქონე ადამიანის ცნობიერი და კონტროლირებადი მოქმედების წყაროს; ხოლო „პიროვნება“ წარმოადგენს საზოგადოების მიერ აღიარებული ურთიერთობათა ნორმების გამზიარებელს, რომლის საფუძველზეც ხორციელდება ადამიანის ადეკვატური და მიზანშეწონილი ადაპტაცია სოციალურ გარემოსთან. ეს მოდელი თავის ადეკვატურობას და ფუნდამენტურობას ავლენს აგრეთვე იმაშიც, რომ საგულისხმო პარალელების გავლების შესაძლებლობას იძლევა ფსიქიკის შემსწავლელი ისეთი გამოჩენილი მეცნიერის ნააზრევთან და ფსიქოლინამიკური მიმდინარეობის ფუძემდებელთან როგორცაა ზიგმუნდ ფროიდი. ფროიდის მიხედვით ადამიანის ფსიქიკის სტრუქტურა შედგება 3 კომპონენტისგან: **იდი - ეგო - სუპერეგო**. „იდი“ წარმოადგენს მოქმედების წარმმართველი გაუცნობიერებელი იმპულსების წყაროს, „ეგო“ წარმოადგენს ფსიქიკის ცნობიერი აქტივობების განხორციელების სივრცეს, ხოლო „სუპერეგო“ წარმოადგენს საზოგადოების მიერ გაზიარებული გარკვეული სახის ქცევების ამკრძალავი ნორმების ერთიან სისტემას (მექანიზმს). ისინი მოქმედებენ ერთიანობაში, განაპირობებენ ადამიანის ქცევის სპეციფიკურ თავისებურებას და მის შესაბამისობას სოციუმთან [2].

ამ ორივე მოდელში მათი შემადგენელი კომპონენტების დალაგება ხდება ქვევიდან ზევით მიმართულებით ანუ დაბალი საფეხურიდან მაღალ საფეხურამდე. აღნიშნული მოდელები ძალიან საგულისხმოა და გამოსაყენებელია იქიდან გამომდინარე, რომ ფსიქოლოგია, როგორც მეცნიერება, დიდად განებივრებული არ არის პიროვნების სტრუქტურის შესახებ კონცეფციების სიმრავლით. შ. ნადირაშვილის ტრიადულ

მოდელში ქვედა საფეხურზე დგას ინდივიდი; შუა საფეხურზე დგას სუბიექტი; ზედა საფეხურზე დგას პიროვნება. ხოლო ზ. ფროიდის ტრიადულ მოდელში ქვედა საფეხურზე იქნება იდი; შუა საფეხურზე იქნება ეგო; ხოლო ზედა საფეხურზე იქნება სუპერეგო. ამის ვიზუალიზაცია წარმოდგენილია ქვემოთ:

შ. ნადირაშვილის ტრიადული მოდელი	ზ. ფროიდის ტრიადული მოდელი
პიროვნება -----	----- სუპერეგო
სუბიექტი -----	----- ეგო
ინდივიდი ----- -	----- იდი

ადამიანის ქცევაში რომელიმე მოდელის სამივე კომპონენტი კი არის ერთდროულად ჩართული, მაგრამ შეიძლება სხვადასხვა „წონით“ იყოს წარმოდგენილი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ადამიანი, როგორც სრულყოფისკენ სწრაფვის მქონე არსება, ყოველთვის ვერ ასწრებს ყველა საფეხურის თანაბრად განვითარებას და ამიტომ შეიძლება შემადგენელი კომპონენტების წონების სხვადასხვა კონფიგურაციებთან გვექნოდეს საქმე. ყველზე მეტად სასურველი კი არის ის, რომ სამივე კომპონენტი მაქსიმალურად იყოს განვითარებული და მოქმედებდეს სინერგიულად. ქცევის წარმართველი პროგრამა ყოველთვის ითხოვს აქტივობათა კოორდინაციას და ეს, ჩვეულებრივ ინტელექტის მეშვეობით ხორციელდება. თუკი ქცევაში ხსენებული სამი კომპონენტიდან რომელიმე ერთია უფრო მეტად წარმოდგენილი, მაშინ იგი ღებულობს ქცევის წარმართვის ფუნქციას მისთვის შესტყვისი ინტელექტუალური ოპერაციების გამოყენებით და ახდენს ამ ფუნქციის შესრულებას. აქ უკვე დღის წესრიგში დგება ინტელექტის სახეობათა დიფერენცირების აუცილებლობა, რის შედეგადაც უფრო გასაგები ხდება განხორციელებული მოქმედების თავისებურება.

ინტელექტი ყველაზე უფრო ფართოდ არის შესწავლილი ადამიანის შემეცნებით აქტივობასთან მიმართებაში, ვინაიდან ადრე მხოლოდ ამ სფეროში ხედავდნენ მის დანიშნულებას. ინტელექტზე, როგორც ამოცანის გადაწყვეტის უნარზე, მსჯელობდნენ ფსიქოლოგიის დარგის ისეთი გამოჩენილი მეცნიერები, როგორებიც არიან: გალტონი, ბინე, შტერნი, ვექსლერი, სპირმენი (გამოყო ზოგადი ინტელექტი), გილფორდი, კეტელი, სტერნბერგი, გარდნერი (მრავლობითი ინტელექტი) და სხვ. ყველა ისინი ინტელექტს განიხილავდნენ როგორც პრობლემის გადაწყვეტის უნარს, ხოლო ისეთი გამოჩენილი მეცნიერი როგორიცაა **ჟან პიაჟე**, უფრო შორს წავიდა ინტელექტის შესწავლის საქმეში და ლოგიკის ფორმალური ოპერაციების ძალიან ფართო და ეფექტიანი გამოყენების საფუძველზე ფაქტობრივად გამოყო ინტელექტის ფუნდამენტური თავისებურება - ოპერირება. იგი ზრდასრული ადამიანის ინტელექტს ფორმალური ოპერაციების აქტიური გამოყენების უნარის მქონედ განიხილავს. მრავალრიცხოვან საგულისხმო გამოკვლევებში, რომელსაც იგი უთმობდა ადამიანის

კოგნიტური განვითარების ანუ მისი კოგნიტური ინტელექტის შესწავლას, გამოყენებულია აბსტრაქტური ალგებრის და ფორმალური ლოგიკის ფუნდამენტური წარმოდგენები, რომლებიც აბსტრაგირებულია მოვლენათა კონკრეტული შინაარსებისგან და გააჩნიათ ნებისმიერი მოვლენის აღწერის შესაძლებლობა [3]. ზემოხსენებული ოპერირების უნარი აძლევს ადამიანს ობიექტურ გარემოში გარკვევისა და მის მიმართ ადეკვატური და მიზანშეწონილი ადაპტაციის განხორციელების შესაძლებლობას. ოპერირების უნარის გარეშე ადგილი ექნებოდა ადამიანთა აქტივობებში ხისტი სამოქმედო სქემების შემუშავებას, რის გამოც ცვალებად გარემოსთან ურთიერთობაში მათი გამოყენება წარუმეტებელი აღმოჩნდებოდა და პრობლემებს შეუქმნიდა ადამიანების სტაბილურ ფუნქციონირებას.

ოპერირების უნარი უნივერსალური უნარია და ნებისმიერი აქტივობაში დებულობს მონაწილეობას, განსაზღვრავს ქცევისეულ პროცესთა მიმდინარეობის თავისებურებას, მაგრამ ეყრდნობა აქტივობის მოცემული დონისთვის ადეკვატურ ფსიქიკურ განცდებს, და მდგომარეობებს. ამიტომ ერთი და იგივე ინტელექტუალური ოპერაცია ფსიქიკურ მდგომარეობათა იერარქიის სხვადასხვა საფეხურზე სხვადასხვა თავისებურებით იქნება გამოვლენილი და სხვადასხვა სამოქმედო პროგრამის სახით იქნება წარმოდგენილი. არავინ დაიწყებს იმის სიღრმისეულ გაანალიზებას, თუ რა შეიძლება იყოს საერთო ამ მოქმედებებს შორის. ოპერირების შინაარსები ქმნიან განხორციელებული მოქმედების შესახებ შთაბეჭდილებას და არა ოპერაციები, რომლებიც ამ აქტივობებს განაპირობებენ. ეს უფრო რთული გზაა და ამიტომ ეკონომიურობის უნივერსალური პრინციპის კარნახით ადამიანები ირჩევენ პირველს ანუ ქცევების ინტერპრეტირებას მათში გამოვლენილი განცდების და მდგომარეობების საფუძველზე. ე.ი. ერთი და იგივე ინტელექტუალური ოპერაცია სხვადასხვაგვარად ფასდება აქტივობათა იერარქიის სხვადასხვა საფეხურებზე, რაც განაპირობებს სირთულეების აღმოცენებას ადამიანის ქცევების ინტერპრეტირებისა და სხვა ქცევებთან მათი დაკავშირების მცდელობების დროს. ეს ოპერაციები იერარქიის ყველა დონეზე იმთავითვე წარმოდგენილი არ არის. ამიტომ საჭიროა მათი შემუშავება და განმტკიცება სამივე საფეხურის შინაარსებთან მიმართებაში, რაც სრულყოფილად ყველა ადამიანის მიერ შეიძლება ვერ იქნეს მიღწეული და ამიტომ აღინიშნება სხვადასხვაობები. ეს განსხვავებულობანი ადამიანის აქტივობათა იერარქიის სხვადასხვა საფეხურის შესაბამისი ინტელექტის განვითარების სხვადასხვა ხარისხზე მიანიშნებს. არსებობს იმის ძალიან დიდი სასურველობა, რომ სამივე დონის ინტელექტი მაქსიმალურად იყოს განვითარებული, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როდესაც ვინმე მნიშვნელოვან ხელმძღვანელ პოზიციას იკავებს. ამ თვალსაზრისით ორგანიზაციების ხელმძღვანელებს საკმაოდ ბევრი მოეთხოვებათ საკუთარი თავის განვითარებისა და სრულყოფის საქმეში.

თუკი ადამიანის ფსიქიკურ განვითარების პროცესში უფრო ინდივიდის დონის ქცევის მექანიზმებია დაწინაურებული, მაშინ საქმე გვაქვს ისეთ ადამიანთან, რომელიც თავისი ინსტინქტებისა და ემოციების კარნახით მოქმედებს. ეს განვითარების ყველაზე დაბალი საფეხურია და შორეული ეპოქის ადამიანების ქცევის თავისებურებას ემსგავსება. ასეთი ადამიანი სრულიად დაუშვებელია რომ იმყოფებოდეს რაიმე ხელმძღვანელ პოზიციაზე, ვინაიდან მისი წამყვანი თვისებები - მტაცებლობა, დაუნდობლობა, არაკუმანურობა და ა.შ. იქნება დიდი პრობლემების წარმომშობი იმ ორგანიზაციაში, რომელსაც იგი მოცემულ მომენტში ხელმძღვანელობს. ასეთი ადამიანი წესით ორგანიზაციის განვითარებისთვის ვერასოდეს მოიცლის თავის პირადი ინტერესების

ტყვეობაში ყოფნის გამო. ამ დონის ინტელექტს „ემოციური ინტელექტი“ უნდა ეწოდებოდეს. ევოლუციის პროცესში სწორედ ემოციური ინტელექტის მაღლით ახერხებდნენ ცოცხალი არსებები მტრულ გარემოში თავიანთი გადარჩენის ამოცანების შესრულებას. ემოციები იყო მათი ქცევებისთვის მიმართულების მიმცემი და ამიტომ ითვლებიან ისინი პირველად ფსიქიკურ პროცესებად და სამოქმედო მექანიზმებად.

თუკი ადამიანის ფსიქიკურ განვითარების პროცესში უფრო სუბიექტის დონის ქცევის მექანიზმებია დაწინაურებული, მაშინ საქმე გვექნება ისეთ ადამიანთან, რომელიც უფრო მეტად გონების კარნახით მოქმედებს და ყველაფერს უმთავრესად მას უქვემდებარებს. ამ დონის ინტელექტს „კოგნიტური ინტელექტი“ უნდა ეწოდებოდეს. ასეთი ადამიანი ფორმალურ-ლოგიკური აპარატის ინტენსიური განვითარებულობით გამოირჩევა და აზროვნების პროცესში ნაკლებ ყურადღებას უთმობს წანამძღვრების მნიშვნელობას. მისთვის ყველა განხილული და შეფასებული მოვლენა, ადამიანი თუ საგნები თითქმის ერთი და იგივე მნიშვნელობისაა და ლოგიკური დასკვნები გამოიყვანება ლოგიკური მსჯელობისთვის აუცილებელი წანამძღვრების მნიშვნელობათა დიფერენცირების გარეშე. ასეთი ადამიანის გონება ერთგვარად ემსგავსება ტექნიკურ ინტელექტს, რომელიც წინასწარ შექმნილი პროგრამის თუ ალგორითმის ფარგლებში მოქმედებს. აზროვნების ასეთი თვისებების მქონე ხელმძღვანელი პირი, მის სამოქმედო „პროგრამაში“ ადამიანური ფაქტორის გაუთვალისწინებლობის გამო, ბევრ მნიშვნელოვან საკითხში ადამიანური პრობლემების წარმომშობი აღმოჩნდება, რის გამოც ორგანიზაციული მუშაობის ეფექტიანობის მაჩვენებლების გაუარესებასაც გამოიწვევს.

ადამიანის განუწყვეტელი განვითარების პროცესი კოგნიტურ ინტელექტზე არ ჩერდება და მისი მენტალობის უფრო მაღალი საფეხურის მოვლენებთანაც მოდის შეხებაში. ამ მხრივ აღსანიშნავია **ლოურენს კოლბერგის** კვლევები ადამიანის მორალური განვითარების შესახებ [4]. მისი კვლევებით შესაძლებელი გახდა რომ უფრო გამდიდრებული შინაარსი შესძენოდა წარმოდგენებს ადამიანის მორალური განვითარებისა და მისი მორალური მრწამსის შესახებ. ბოლო დროს გააქტიურებული კვლევები აშკარად მიანიშნებს ამ მოვლენის ფართოდ შესწავლის აუცილებლობაზე, რომელიც ადამიანის განვითარების უმაღლეს საფეხურად არის მიჩნეული. შესაბამისად მორალთან მიმართებაში ადამიანის ინტელექტმაც მიიქცია მეცნიერთა დიდი ყურადღება მისი უბადლო მკვლევარის ჟან პიაჟეს კვლევებიდან დაწყებული [5], [6], [7], [8]. გახშირდა მეცნიერული განაცხადები ადამიანის „მორალური ინტელექტისა“ და მისი უაღრესად დიდი მნიშვნელობის შესახებ ადამიანის მენტალობისა და ქცევების ორგანიზებაში. ფსიქიკური განვითარების უმაღლეს საფეხურს ადამიანის მაღალი მორალური მრწამსი წარმოადგენს, რომლის მიღწევაც „მორალური“ ინტელექტის მაქსიმალური განვითარებით არის შესაძლებელი. მორალური ინტელექტის განუვითარებლობის შემთხვევაში ადამიანი ინსტინქტებისა და ეგოისტური მისწრაფებების კარნახით მოქმედებს და პრობლემებს ქმნის ადამიანებს შორის ურთიერთობების სფეროში. აქედან გამომდინარე, სრულიად დაუშვებელია ასეთი ადამიანის დანიშვნა ან არჩევა ხელმძღვანელ თანამდებობაზე და ეს პრინციპი მუდამ მაქსიმალურად უნდა იყოს დაცული ორგანიზაციის წევრთა მეტი შეთანხმებულობის, კოორდინირებულობის და მათი მუშაობის მეტი ეფექტიანობის მისაღწევად.

კოგნიტური ინტელექტის ფუნქციობის შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს ობიექტური სინამდვილის საგნებითა და მოვლენებით ოპერირების უნარის გამოყენებასთან, რითიც

ადამიანი საუკუნეთა მანძილზე იყო დაკავებული. ამიტომ ადამიანის ინტელექტის ზემოაღნიშნულ სამ მთავარ სახეობას შორის ყველაზე მეტი განვითარებულობა სწორედ კოგნიტურ ინტელექტს ხვდა წილად. ეს გამოიწვია უკეთესი სახცოვრებელი პირობების შექმნისთვის ადამიანის მუდმივმა ზრუნვამ. გადარჩენისთვის ევოლუციური ამოცანების შესრულებამ ხელი შეუწყო ადამიანურ პოპულაციაში მეტ-ნაკლები წარმატებულობით ემოციური ინტელექტის განვითარებას, ემოციებით ოპერირების უნარის გამომუშავებას, რომელიც უაღრესად ხშირი გამოყენების შედეგად მოექცა არაცნობიერი ფსიქიკურის სფეროში და დღეისთვის ადვილად გაცნობიერებას ვერც ექვემდებარება. ბოლო წლებში მეცნიერული კვლევების გააქტიურება ადამიანის ემოციური ინტელექტის შესასწავლად, მის არაცნობიერ ფსიქიკურში „ჩაძირული“ ინტელექტუალური მექანიზმების გამოვლენას ეძღვნება. რაც შეეხება მორალურ ინტელექტს, ადამიანური საზოგადოების განვითარების ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ადამიანმა ამისთვის ყველაზე ნაკლებად მოიცალა და, შესაბამისად, ყველაზე მეტი ყურადღების მიქცევა სწორედ მისთვის არის საჭირო. მორალური ინტელექტის ფუნქციონის შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს საზოგადოებაში ფართოდ აღიარებული ურთიერთობათა მორალური ნორმებით ოპერირების უნარის გამოყენებასთან, რომელიც ძალაუბრებურად კი არის ჩართული სოციალურ პროცესთა ორგანიზებაში, მაგრამ გადაფარულია სხვა კატეგორიის მოვლენებით და პროცესებით, რის გამოც ვერ ხერხდება მორალური პრინციპების დაცვის მეშვეობით საზოგადოებრივ პროცესთა ეფექტიანი კოორდინირება. აქედან გამომდინარეობს ის დიდი პრობლემები, რომლებიც საზოგადოების განვითარების შემაფერხებელი ფაქტორის როლს თამაშობს.

მორალური ინტელექტის ჩამოყალიბებაში მონაწილეობას ღებულობს ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა: პიროვნების მთლიანობა, პასუხისმგებლობა, პატიება, თანაგრძნობა, მოთმინება, სამართლიანობა, თვითკონტროლი, სინდისი, პატივისცემა, კეთილგანწყობა, ტოლერანტობა და სხვ. ეს ის ფაქტორებია, რომელთა ეფექტიანი ოპერირების შედეგადაც შესაძლებელი ხდება სხვა ადამიანებთან ურთიერთობაში სწორი პოზიციების შექმნა. მორალური ინტელექტი ითვლება ყველაზე უფრო მაღალი დონის ინტელექტად, რომელიც ეხება ადამიანის ფსიქიკის სტრუქტურის ყველაზე უფრო მაღალ საფეხურს. ასეა მიჩნეული მეცნიერთა დიდი უმრავლესობის მიერ. ამიტომ მორალური ინტელექტის განვითარებული ფორმები ყველაზე უფრო წონად საფუძვლებს ქმნიან იმ შემთხვევებში, როდესაც იხილება საკითხები ხელმძღვანელ თანამდებობებზე ადამიანთა გამწესების შესახებ. ყველაზე უფრო მეტად სწორედაც ხელმძღვანელებს უნდა მოეთხოვებოდეთ მეტი დაწინაურება იქონიონ მორალური ინტელექტის განვითარების სფეროში. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება მათი მუშაობა ნაყოფიერი და მხოლოდ ასეთი ხელმძღვანელობით გახდება შესაძლებელი ორგანიზაციის განვითარება, მისი შემოსავლების ზრდა და მომუშავეთა შრომითი კმაყოფილების ამაღლება. მის გარეშე კი ამ ორგანიზაციული მაჩვენებლების გაუმჯობესება პრობლემური აღმოჩნდება.

მორალური ინტელექტის განვითარების მაღალი დონე განსაკუთრებით აქტუალურია განათლების სფეროში, რომელშიც ხელმძღვანელებს დიდი რაოდენობის მოსწავლეებთან და სტუდენტებთან უხდებათ ურთიერთობა. ხელმძღვანელობის პროცესში გაპარული ხარვეზები მათგან გამომდინარე მასშტაბური ნეგატიური შედეგებით ცნობილი ხდება ახალგაზრდობის დიდი მასებისთვის და როგორც დასაშვები მოვლენა განმეორების შესაძლებლობას იძენს მომავალშიც, როდესაც ისინი

თავიანთ პროფესიულ საქმიანობას შეუდგებიან. ასე იქმნება სოციალური ეროზიის წანამდღვრები, რომელსაც ქვეყნის მომავლისთვის დიდი პრობლემების მოტანა შეუძლია. როგორც დეკარტე იტყოდა, მცირე ხარვეზები დასაწყისში იძლევა დიდ პრობლემებს ბოლოში. ამრიგად, აუცილებელია საგანმანათლებლო დაწესებულების მართვაში დიდი ყურადღება ექცეოდეს ადამიანური ფაქტორიდან გამომდინარე შეცდომების მინიმიზებას, ხოლო დაშვებული შეცდომების შემთხვევებში მათ გამოსწორებას, რათა ახალგაზრდობას აღარ ეძლეოდეს ხელმძღვანელ პირთა არასწორი მუშაობის თვალსაჩინო მაგალითები, რომლებიც ქმნიან ამ ქმედებათა განმეორების შესაძლებლობას მომავალში ახალგაზრდა კადრების ჩართვის კვალობაზე საზოგადოებრივ ცხოვრებაში. როგორც ცნობილია, უფროსი პირებისგან მიღებული არასწორი მუშაობის მაგალითებს ძლიერი უარყოფითი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია ახალგაზრდა კადრების საქმიანობაზე.

საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელს პირველ რიგში მოეთხოვება, რომ წარმოადგენდეს პიროვნებას განვითარებული მორალური ინტელექტით, რაც მოიპოვება მრავალ ადამიანთან ხანგრძლივი და წარმატებული მუშაობის საფუძველზე, რომელშიც გაცნობიერებულია ადამიანური ფაქტორის განმსაზღვრელი მნიშვნელობა სამუშაოთა ეფექტიანად წარმართვაში და აგრეთვე რომელშიც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ადამიანის კეთისინდისიერებას და კომპეტენტურობას. განთლების სფერო არ არის მხოლოდ ცოდნის გენერირების და გადაცემის ადგილი, არამედ იგი დაკავებული უნდა იყოს აგრეთვე მაღალი მორალის პიროვნების ჩამოყალიბების ამოცანებით. ეს შეიძლება წარმატებით იქნეს მიღწეული მაღალი ზნეობის მქონე ხელმძღვანელის აქტიური და თანმიმდევრული აღმზრდელიობით საქმიანობის გარემოში. მმართველ პოზიციაზე ადამიანისგან მოსათხოვია ეთიკურ და მორალურ სტანდარტებთან მაქსიმალური შესაბამისობის დაკმაყოფილება, რის შემდეგაც აზრი ეძლევა მისი კომპეტენციისთვის ანგარიშის გაწევას და არა პირიქით, როგორც, სამწუხაროდ, ხშირად ხდება. ჯერ-ჯერობით ბოლომდე არ არის გაცნობიერებული მორალურობის პრიორიტეტულობა კომპეტენტურობასთან მიმართებაში. მორალურობა უფრო მაღალი დონის მოვლენაა ვიდრე კომპეტენტურობა და პირველის უქონლობით გაცილებით უფრო მეტი ზიანის მიყენება შეიძლება ადამიანებისთვის, ვიდრე ცოდნის ნაკლებობით. ამიტომ მმართველი ჯერ უნდა იყოს კეთისინდისიერი და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება დაუფასდეს კომპეტენტურობა. საუკეთესო ხელმძღვანელს წარმოადგენს მაღალი მორალის და დიდი ცოდნის მქონე ადამიანი - როგორც **„განსწავლული სიკეთე“**, ხოლო ყველაზე უარეს ხელმძღვანელს წარმოადგენს დიდი ცოდნისა და დაბალი მორალის მქონე ადამიანი - როგორც **„განსწავლული ბოროტება“** [9]. ამ ჭეშმარიტებათა გაცნობიერება და ამ ორიდან საუკეთესო მიდგომის („განსწავლული სიკეთე“) გამოყენება მმართველური საქმიანობის ორგანიზებაში საბოლოოდ ყველაზე მეტი წარმატების მომტანი იქნება ქვეყანაში მოქმედი საგანმანათლებლო ორგანიზაციებისთვის და მთლიანად საზოგადოებისთვის.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ხელმძღვანელ თანამდებობაზე ადამიანის შერჩევის დროს პირველ რიგში უნდა კმაყოფილდებოდეს მისი პიროვნების მორალურობის მოთხოვნები და შემდეგ ანგარიში უნდა ეწეოდეს მის კომპეტენტურობას. რაც შეეხება განათლების სფეროში ხელმძღვანელ თანამდებობაზე უკვე მომუშავე ადამიანებს, რომლებმაც თავის მმართველურ საქმიანობაში არაერთხელ გამოავლინეს მათი პიროვნების დაბალი მორალური მრწამსი (ანუ ამორალურობა),

მაშინ დღის წესრიგში აუცილებლად უნდა დგებოდეს ხელმძღვანელი თანამდებობიდან ასეთი პირების განთავისუფლების საკითხი. არავის უნდა მიეცეს იმის შესაძლებლობა, რომ განათლების სფეროში კადრების მომზადება ქვეყნისთვის დამაზიანებელი პროგრამით მიმდინარეობდეს და ამორალური კადრების აღზრდას ეცხადებოდეს მხარდაჭერა. ასეთი კადრები მომავალში მხოლოდ ქვეყნის დაზიანებას თუ მოახერხებენ და არა მის განვითარებას და გაძლიერებას. მაღალი მორალური მრწამსის კომპეტენტური კადრები ქვეყნის წინსვლისა და განვითარებისთვის უაღრესად მნიშვნელოვან გამწევ ძალას წარმოადგენენ და ისინი ყველანაირ ხელშეწყობას უნდა იმსახურებდნენ ხელმძღვანელ თანამდებობებზე ფართო დასაქმებისთვის.

ლიტერატურა

1. ნადირაშვილი შ. განწყობის ანტროპული თეორია. სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი, 2014.
2. გოროშიძე გ. მორალური ინტელექტი როგორც ადამიანის სუბიექტური კეთილდღეობის საფუძველი. განათლების მეცნიერებანი და ფსიქოლოგია. რეცენზირებადი, იმპაქტფაქტორიანი, საერთაშორისო ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალი, 2022 | No. 3 (64), გვ. 86-95.
3. Piaget J. The development of thought: Equilibrium of cognitive structures. New York, Viking Press, 1977.
4. Kohlberg L. The philosophy of moral development. New York, Harper and Row, 1981.
5. Piaget J. The Moral judgement of the child. New York, Macmillan, 1965.
6. Kruger T. Moral Intelligence: The Construct and Key Correlates. University of Johannesburg, 2012.
7. Tanner C., Christen M. Moral Intelligence – A Framework for Understanding Moral Competences. Zeppelin University & University of Zurich, 2013.
8. Toprak, M., & Karakus, M. Teachers' moral intelligence: A scale adaptation into Turkish and preliminary evidence. *European Journal of Educational Research*, 2018, 7(4), 901-911
9. გოროშიძე გ. ლიდერობის მოდელები და ორგანიზაციული პათოლოგიები განათლების სისტემაში. განათლების მეცნიერებანი და ფსიქოლოგია, რეცენზირებადი, იმპაქტფაქტორიანი, საერთაშორისო ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალი, 2021 | No.2 (59), გვ. 83-94;

Article received 2023-08-30